2025 წლის ანგარიში

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში
ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 1 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 25 განცხადება, აქედან:

ა) 5 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;
ბ) 18 განცხადება არ დაკმაყოფილდა;
გ) 1 განცხადება გადაიგზავნა ქვემდებარეობით;
დ) 1 განცხადება დამუშავების პროცესშია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ერთხელ. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯი გაწეული არ ყოფილა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქმისწარმოების მიზნებისათვის მონაცემების შეგროვებისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა დაიხურა 3 შემთხვევაში - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.

განცხადებებზე პასუხი მოამზადა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ეკატერინე ქათამაძემ - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა კონსულტანტმა - პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა.

2025 წელს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დისციპლინური სახდელი არ დადებია.

დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად - ოფიციალური ვებგვერდის www.hcoj.gov.ge მეშვეობით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და
ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი -
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თინათინ კოვზირიძე